

შეტყობინება მეორე

ორი ხე და ცხოვრების ორი პრინციპი

ადგილები წერილიდან: დაბ. 2:9; ებრ. 4:12; 1 კორ. 2:14-15; რომ. 8:4, 6; ეფეს. 4:18-19; 2 კორ. 11:13

I. ორი ხე დაბ. 2:9-ში – სიცოცხლის ხე და კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე – წარმოადგენს ცხოვრების ორ პრინციპს:

- ა. ეს ორი ხე გვიჩვენებს, რომ ქრისტიანს შეუძლია იცხოვროს ორი სხვადასხვა პრინციპის თანახმად: სწორისა და არასწორის პრინციპის თანახმად ან სიცოცხლის პრინციპის თანახმად – 1 კორ. 8:1.
- ბ. ვიყოთ ქრისტიანი – ნიშნავს საქმე გვქონდეს არა სწორისა და არასწორის პრინციპთან, სიკეთისა და ბოროტების პრინციპთან, არამედ სიცოცხლესთან – 1 იოანე 5:11-13, 20.
- გ. როდესაც ჩვენ მივიღეთ უფალი იესო და მოვიპოვეთ ახალი სიცოცხლე, ჩვენ მოვიპოვეთ კიდევ ერთი პრინციპი ცხოვრებისა; თუ ჩვენ ვერ შევიცნობთ ამ პრინციპს, ჩვენ გვერდზე გადავდებთ სიცოცხლის პრინციპს და გავყვებით სწორისა და არასწორის პრინციპს.
- დ. ვიყოთ ქრისტიანი – ნიშნავს არ ვიკითხოთ, რაღაც სწორია თუ არასწორი, არამედ შევადაროთ სიცოცხლესთან ჩვენ შიგნით ყოველთვის, როდესაც ჩვენ რაღაცას ვაკეთებთ – რომ. 8:6; ეფეს. 4:18-19.

II. ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება დაფუძნებულია შინაგან სიცოცხლეზე, და არა სწორისა და არასწორის გარეგნულ სტანდარტზე; ჩვენი ცხოვრების პრინციპი არის შინაგანი, და არა გარეგნული:

- ა. თუ ჩვენ ვცხოვრობთ სწორისა და არასწორის პრინციპის თანახმად, მაშინ ჩვენ ისეთივე ვართ, როგორებიც ქვეყნიური ადამიანები – მუხ. 17.
- ბ. სწორი და არასწორი განისაზღვრება არა გარეგნული სტანდარტით, არამედ შინაგანი სიცოცხლით.
- გ. ჩვენ უნდა გავექვეთ არა მარტო იმას, რაც არის ბოროტება, არამედ იმასაც, რაც არის უბრალოდ სიკეთე:
 1. ქრისტიანებს შეუძლიათ გააკეთონ მხოლოდ ის, რაც გამოდის სიცოცხლიდან; არსებობს რაღაც ბოროტი, რაღაც კეთილი და რაღაც დაკავშირებული სიცოცხლესთან – იოანე 1:4; 10:10; 1 იოანე 2:25; 5:13.
 2. დაბადების 2:9-ში „სიკეთე და ბოროტება“ მოთავსებულია ერთად და წარმოადგენს ერთ გზას, ხოლო „სიცოცხლე“ – ეს არის სხვა გზა.
 3. არსებობს სტანდარტი, რომელიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიკეთის სტანდარტი; ეს არის სიცოცხლის სტანდარტი – იოანე 11:25; 1 იოანე 5:11-12.
 4. ქრისტიანული ცხოვრების სტანდარტი გამორიცხავს არა მარტო ბოროტს, არამედ იმასაც, რაც არის კეთილი და სწორი.
 5. მრავალი რამ არის სწორი თანახმად ადამიანური სტანდარტისა, მაგრამ ღვთაებრივი სტანდარტი აცხადებს მათ არასწორად, რადგან მათ აკლიათ ღვთაებრივი სიცოცხლე.

- დ. ქრისტიანული ცხოვრება დაფუძნებულია შინაგან სიცოცხლეზე – რომ. 8:2, 6, 10-11:
1. არც ერთმა ქრისტიანმა არ უნდა მიიღოს არავითარი გადაწყვეტილება სიცოცხლისაგან განცალკევებულად – 1 იოანე 5:13.
 2. ყველაფერი, რაც აღიღებს შინაგან სიცოცხლეს, არის სწორი, ხოლო ყველაფერი, რაც ამცირებს შინაგან სიცოცხლეს, არის არასწორი.
 3. ჩვენი გზა არის ღმერთის სიცოცხლე, და არა არასწორი და სწორი; ამ ორ პრინციპს შორის არის უდიდესი განსხვავება და მკვეთრი კონტრასტი.
 4. ჩვენ უნდა დავსვათ ერთადერთი შეკითხვა: წამოიმართება ჩვენ შიგნით ღვთაებრივი სიცოცხლე თუ ჩერდება; სწორედ ამან უნდა განსაზღვროს ჩვენ მიერ ამორჩეული გზა.
 5. ღმერთი მოითხოვს, რომ ჩვენ დავაკმაყოფილოთ შინაგანი სიცოცხლე; ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი ისე, რომ ამან დააკმაყოფილოს ის სიცოცხლე, რომელიც ჩვენ მოგვცა ღმერთმა – იოანე 1:4; 3:15.
 6. ჩვენ ქრისტიანები, უნდა ვინანიებდეთ ღმერთის წინაშე არა მარტო ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვების გამო; ხშირად უნდა მოვინანიოთ ღმერთის წინაშე ჩვენ მიერ ჩადენილი სიკეთის გამო.
 7. ჩვენი ცხოვრების პრინციპი – არ არის სიკეთისა და ბოროტების გარჩევის პრინციპი; ჩვენ უნდა წარვდგეთ ღმერთის წინაშე, რათა განგსაზღვროთ, რა გამოდის სიცოცხლიდან, და რა გამოდის სიკვდილიდან – რომ. 8:6; 1 იოანე 3:14.

III. თუ ჩვენ გვინდა, ვიცხოვროთ სიცოცხლის პრინციპის თანახმად, ჩვენ უნდა განვასხვავოთ სული სამშენველისაგან და ვიცოდეთ სული – ებრ. 4:12; 1 კორ. 2:14-15:

- ა. უფალი, რომელიც არის სული, ცხოვრობს, მკვიდრობს, მუშაობს, მოძრაობს და მოქმედებს ჩვენს სულში, ხოლო ჩვენ ვართ ერთი სული მასთან – 2 კორ. 3:17; რომ. 8:16; 1 კორ. 6:17:
1. თუ ჩვენ გვინდა, ვიცოდეთ უფალი პრაქტიკულად და განვიცადოთ ის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენ უნდა ვისწავლოთ, გამოვიცნოთ ჩვენი სული – 2:14-15.
 2. თუ ჩვენ არ ვიცით ჩვენი ადამიანური სული, ჩვენ ვერ გავიგებთ, როგორ მოძრაობს ღმერთი ჩვენში, და ვერ გავყვებით უფალს, რადგან უფალი არის სული, მცხოვრები ჩვენს სულში – 1 იოანე 2:27; 2 ტიმ. 4:22.
- ბ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ განსხვავება ჩვენს სულსა და ჩვენს შინაგანს შორის – ფსალ. 51:6; ეზეკ. 36:26; 1 პეტ. 3:4.
- გ. როდესაც რაღაცას ვაკეთებთ ჩვენს სამშენველში, იქნება ეს სწორი თუ არასწორი, ჩვენ ამით ვცხოვრობთ ძველ კაცში, ამიტომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ჩვენს მშენიან-სიცოცხლეზე, ჩვენს „მეზე“ – მათე 16:24-26.
- დ. როდესაც ჩვენ მივყვებით ჩვენს სულს, ჩვენ მივყვებით თვით უფალს, რადგან უფალი არის ჩვენს სულში – 2 ტიმ. 4:22; 1 კორ. 6:17.

IV. იმისათვის, რომ ვიცხოვროთ სიცოცხლის პრინციპის თანახმად, ჩვენ უნდა გავეყოთ სიცოცხლის შინაგან გრძნობას – რომ. 8:6; ეფეს. 4:18-19; ესაია 40:31:

- ა. სიცოცხლის გრძნობა არის რაღაც სუბიექტური, პირადი და პრაქტიკული:
 - 1. რაც შეეხება უარყოფითი მხრივ, სიცოცხლის გრძნობა არის სიკვდილის შეგრძნება – რომ. 8:6ა.
 - 2. რაც შეეხება დადებითი მხრივ, სიცოცხლის გრძნობა არის სიცოცხლის და მშვიდობის შეგრძნება, რასაც თან ახლავს ძალის გაცნობიერება, დაკმაყოფილება, მოსვენება, გაბრწყინება და ნუგეში – მუხ. 6ბ.
- ბ. სიცოცხლის გრძნობის სათავე არის ღვთაებრივი სიცოცხლე (ეფეს. 4:18-19), სიცოცხლის კანონი (რომ. 8:2), წმიდა სული (მუხ. 11; 1 იოანე 2:27), ქრისტე, რომელიც იმყოფება ჩვენში (იოანე 15:4-5), და ღმერთი, მოქმედი ჩვენში (ფილიპ. 2:13).
- გ. სიცოცხლის გრძნობის ფუნქცია არის ის, რომ მოგვცეს ჩვენ ცოდნა, თუ სად ვცხოვრობთ; ბუნებრივ სიცოცხლეში თუ ღვთაებრივ სიცოცხლეში, ხორცში თუ სულში – 1 კორ. 2:14-15; რომ. 8:8-9; გალ. 5:16-17.
- დ. მორწმუნის ზრდა სიცოცხლეში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ექცევა ის სიცოცხლის შინაგან გრძნობას – ეფეს. 4:15; კოლ. 2:19; 1 კორ. 3:6-7.
- ე. ჩვენ ყოველ დღე ღოცვით უნდა შევიდეთ სიცოცხლის გრძნობაში და ვიცხოვროთ მისი მმართველი, ხელმძღვანელი და მიმართველი ელემენტის მორჩილებით – რომ. 8:6; ეფეს. 4:18-19; 1 იოანე 2:27.
- ვ. რაც უფრო მეტს ვივლით სულის თანახმად და გავეყვებით სიცოცხლის გრძნობას, უფრო მეტად ვიცხოვრებთ სიცოცხლის პრინციპის თანახმად – რომ. 8:4, 6.

V. თუ ჩვენ ვიცხოვრებთ სიცოცხლის პრინციპის თანახმად, ჩვენ გავარჩევთ ყველაფერს არა სწორისა და არასწორის პრინციპის თანახმად, არამედ სიცოცხლისა და სიკვდილის თანახმად – 2 კორ. 11:3:

- ა. იოანეს სახარებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სიცოცხლის ხე არის კეთილისა და ბოროტის ხის საპირისპიროდ და რომ ჩვენ ყურადღება უნდა დავუთმოთ არა სიკეთეს ან ბოროტებას, არამედ სიცოცხლეს – 4:10-14, 20-21, 23-24; 8:3-9; 9:1-3; 11:20-27.
- ბ. საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ გავარჩიოთ რაღაც – გარჩევის საიდუმლო – არის ის, რომ გავარჩიოთ სიცოცხლის ან სიკვდილის თანახმად; ჩვენ უნდა ვისწავლოთ გარჩევა, განსხვავება, ყველაფრისა სიცოცხლისა და სიკვდილის საფუძველზე, უარყოფით ნებისმიერი ლაპარაკი, რომელიც გვაშორებს ქრისტეთი როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნით ტკობას, მაგრამ მივიღოთ უფლის სათანადო მსახურება, რომელიც ყოველთვის გვამტკიცებს ჩვენ ქრისტეთი როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნით ტკობაში – რომ. 8:6; 2 კორ. 11:3.